იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 172
წელიწადი მეორე
სამშაბათი, 22 ოქტომბერი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

19 ოქტომბერს გარდაიცვალა

ქეთევან ნიკოლოზის ასული კერესელიძისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის მეუღლე, დეკანოზი ქუთაისის საკრებულო ტაძრისა იოანე იოსების ძე კერესელიძე, ძენი და ასულნი დავით, პავლე (გიგო), სალომე და მარიამი, რძლები: ალექსანდრა იოსების ასული, ნინო ივანეს ასული, დარო სპირიდონის ასული და ეფროსინე (პაშა) სიმონის ასული, სიძეები: იაზონ თომას ძე ბაქრაძე და კონსტანტინე მიხეილის ძე აბაშიძე, და და ძმები მიცვალებულისა—მაგდან წერეთლისა, დავით ნიკოლოზის ძე დათეშიძე და სამსონ ნიკოლოზის ძე დათეშიძე.

პანაშვიდები ყოველდღე სად. 6 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა—ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათ., რუსაძის სახლიდან (ილია ჭავჭავაძის ქუჩა) საფიჩხიის სასაფლაოზე.

ღვდელი პავლე, მელიტონ, აქიმი ეპიფანე შენგელიები და მარიამ გიორგის ასული ახვლედიანისა, რძლები: პელაგია ლევანის ასული, პელაგია იესეს ასული და ნინო ივანეს ასული, სიძე ისაკ ბახვას-ძე ახვლედიანი, შვილის-შვილები: ბესარიონ, ვერა, ნინო და იონა შენგელიები, თამარ, ვალერიანე, ვასილ, ელენე და ნადეჟდა ახვლედიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველნი ძვირფასი მამისა, მეორენი მამამთილისა, მესამე სიმამრისა და მეოთხე საყვარელი ბაბუასი

ღვდლის გიორგი ბესარიონის ძის შენგელიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და დაკრძალვის დღეც დანიშნულია 24 ამ თვეს, დილის ცხრა საათზე, ჭაგნის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

პანაშვიდი ყოველდღე 6½ საათზე.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„დელი-ბაზ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

იროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

უთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა ლოვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. მერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყვერული“ ქუთაისში ადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს საყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 ლობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 09 101—14, 1202 420 A. ფასი სადვინე ვაზებისა 65 მან. 1000 საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. ელის სახლში ვ. ტიეგო.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თფილისში.

ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.	
დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ.	8—10
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დასტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. ჭოლოშვილი—საპებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2
საღამოთ	
გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მიწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძას შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

თფილისის საპოლიტექნიკო კურსები, ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინობა 1 ოქტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდკაპიკიანი მარკა. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4—8 ს., თხოვნების მიღება გძელდება **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

აქიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., სად. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ლაბა ზესტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

მეორე სხდომა

სათათბიროს სხდომები დაიწყო. დიდის ამბით სწირეს და ილოცეს, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა მინისტრებზე, რომელთაც კაიხანია—სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს მემარჯვენე მარკოვის სიტყვების გამო. ერთჯერ კიდეც ვსწერდით, რომ ასეთ კურიოზებს რუსეთში თუ ექნება ადგილი, რადგან ჩვეულებათაა, ყველამ თავისი კანონი შეიმუშავოს და თავისი სურვილების მიხედვით იმოქმედოს.

თუმცა—„მადლობა ღმერთს“,—რუსეთს პარლამენტი არ აქვს, როგორც ერთ დროს მთავრობის ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა განაცხადა, მაგრამ რაღაც ხომ არის, სადაც მინისტრთა კაბინეტის თავჯდომარე ხშირათ გძელ ტირადებს კითხულობს და დროგამოშვებით კადეტებს ეკამათება? ჰო და, ამ „რაღაც დაწესებულებისადმი“ რაღაც პატივისცემა მაინც უნდა ქონდესთ ამა ქვეყნის ძლიერთა და მათ მიერ მიკიბულ-მოკიბულსა და ივნისის კანონებზე აკოწიწებულ სათათბიროს არც ასე აბუჩათა და აგდებით უნდა ეპყრობოდენ. მაგრამ, რას ვამბობ, დიდი ხანია—ყველაფერმა დაკარგა ფასი და პატივისცემა, დიდი ხანია, რუსეთი ყოველგვარი მოულოდნელობის მხარეთ გადაიქცა, დიდი ხანია, რაც მის ბედსა და მის ალმაფრენას, მის კულტურულ ზრდასა და თავისუფალ მსვლელობას გზას ულობვენ. და რას იზამს უუფლებო სათათბირო იქ, სადაც ძალა ამსრულებელი ძალას კანონმდებელს არ ემორჩილება, სადაც პირადი შეურაცხყოფა ერთ-ერთი მინისტრისა ერთ-ერთი დეპუტატის მიერ ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია, იმდენათ მნიშვნელოვანი, რომ მთელი კაბინეტი სათათბიროს მთელ შედგენილობას ბოიკოტს უცხადებს. ასეთია ხალხის წარმომადგენელთა მნიშვნელობა ბიუროკრატთა თვალში, ასეთია ანგარიში, რომელსაც ბიუროკრატია ხალხს უწევს. დიდი ხანია, რაც ყოველგვარი დაპირება წარსულის არქივს ჩაბარდა. მხარე უკვე „დამშვიდდა, დაწყნარდა“, 1905 წლის სუსხმა გაიარა და რაღა საჭიროა მთავრობის აზრით რაღაც 17 ოქტომბრის მანიფესტი: სინიდისისა, რწმენისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა და სხ. თავისუფლება? ყოველი უმცროსი მოხელეც კი თავისუფლათ დათარეშობს და სხვაგვარი თავისუფლება ან კი ვის რათ ეპრიანება? ამ მოსაზრებითაა, რომ სათათბირო მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო—სალაყბო დაწესებულებათ გადაიქცა, სადაც პურიშკევიჩ მარკოვებს შეუძლიათ ენის ქავილი დაიცხრონ, ყოველი კანონპროექტი საკამათო საგნათ გადაქცეულა და ამდენი ხნის განმავლობაში, ერთი ხეირიანი რამე არ გაუკეთებია, ამ შემთხვევაში მას მხოლოდ პლატონიური მიდრეკილებით თუ უსახელებია თავი. მეოთხე სათათბიროს მეორე სესიის დასაწყისიდანვე კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო, საქმე პრესას დევნს შეეხებოდა, ილაპარაკეს, იმსჯელეს, მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა კადეტების ლიდერმა მილიუკოვმა, პურიშკევიჩი კიდევ სათათბიროს დაშლით დაემუქრა, ფრაზებს სიმაღლე და სიგძე

არ აკლდა, მაგრამ... შეკითხვა მიიღეს მხოლოდ და ყველაფერი ამით გათავდა, შეკითხვებს ცხოვრებაში გატარება არც კი ეღირსება. მეორე სხდომაზე კიდევ მეორე შეკითხვა მიიღეს საჯარო კრებათა უკანონოთ დახურვის შესახებ, შეკითხვა 156 დეპუტატის ხმით მიიღეს, მაგრამ მისი დასამარებისთვის მხოლოდ მოსკოვის ან კიევის ერთი ბოქაულიც საკმარისი, რადგან „ძალა აღმართსა ხნავს“ და ვისა აქვს ეს ძალა თუ არა ბოქაულ სტროევს ან მის ხელქვეით უბნის ზედამხედველს, რომელიც მეცნიერთა სამეცნიერო კრების მსვლელობას განაგებს?

როდესაც მოსკოვში „რუსკია ვედომოსტის“ სადღესასწაულოთ გამართულ ბანკეტზე აკადემიკოსმა ბუნინმა სცადა, საპოლიციო ბოქაულისთვის საყვედურით მიემართა და უავგუსტოეს პრეზიდენტზეც მიუთითა, ბ-ნ ბოქაულს წარბიც არ შეუხრია, ყოველივე ამას ცივათ შეხედა და პატივცემულ პროფესორსაც ცივათ უპასუხა და დაანახა, რომ მის რაიონში უავგუსტოესი პრეზიდენტიც იგია, აკადემიკოსიც და აგრძნობია, რომ მის მიერ შედგენილ ოქმებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბუნინის აკადემიკოსობას, რამეთუ არა არს მეცნიერება გარეშე საპოლიციო ოქმებისა და არათუ მარტო მეცნიერება, რუსეთის მთელი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ „ოქმებშია“ მოქცეული და მოთავსებული. წარმოიდგინეთ კრების მხრით მუნიციპალური მოღვაწენი და ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლებიც კი არა კეთილსაიმედო და საეჭვო პირებათ აღიარეს: როდესაც გუჩკოვმა 17 ოქტომბრის მანიფესტის ხსენება განიზრახა, პირში უბნის ზედამხედველის ოქმი ჩასჩარეს და გააჩუმეს. მეტი ერთგულებით მოსდით თუ მეტი თვითნებობით არ ვიცით, მაგრამ ყოველი კრება რუსეთში 17 ოქტომბრის თავისუფლებას შემდეგ უფრო ზედმეტათ შეზღუდული და შევიწროებული შეიქნა. ეჭვის თვალით უცქერენ ვაჭარ-მრეწველთა კრებას, თვალყურს ადევნებენ მუნიციპალურ მოღვაწეთა სხდომებს, არა კეთილსაიმედოთაა მიჩნეული გამოჩენილ მწერალ-მოღვაწე-მეცნიერთა კრებები. ხალხის წარმომადგენლებს, სათათბიროს დეპუტატებსაც კი ოქმებით უმასპინძლდებიან, თუ გასწყრა ღმერთი და ამ უკანასკნელებმა ამრჩევლებთან საუბარი განიზრახეს. ოქმებიდან არაა დაზღვეული არც ერთი კრება, არც ერთი საზოგადო დაწესებულება და მოღვაწე, ყველა პასუხისმგებელია ყოვლად ძლიერი უბნის ზედამხედველის წინაშე, რამეთუ კანონიერების დამცველი მხოლოდ ზედამხედველი და მისი ოქმია, რამეთუ თავისუფლების ნაყოფი მარტოოდენ მათ შეუძლიათ იგემონ. მიიღეს შეკითხვა უკანონო კრებების დახურვის შესახებ, მაგრამ არა მგონია ამან საპოლიციო ოქმების ტირაჟი დასცეს, ამ მხრით დეპუტატთა ამოძახილი სუსტია, რადგან „ასე იყო და ასე იქნება“, ოფიციალური რუსეთის ენით რომ ვილაპარაკოთ. **იმერი.**

ახალი ამბავი.

18, 19-სა და 20 ოქტომბერს საბჭოს სტიპენდიები დაენიშნა უმაღლესს სასწავლებელში: 8 სტიპენდია—მრეწველსა, 6—გარეშეს და 1—მუშებს, საშუალოში—2—მუშებს, 30—მრეწველებს, 2—საბჭოს მოსამსახურესა და 1—გარეშეს. დაბალ სასწავლებლებში—6—მუშებს. ერთდროული დახმარება მიეცა რამდენიმე ათეულ კაცს უმაღლეს სასწავლებლებში და 70—საშუალოში. სტიპენდიატთა სია ხვალის ნუმერში იქნება მოთავსებული.

✦ პეტერბურგში არსებულმა პიროგოვის საზოგადოებამ დაადგინა ქუთაისის გუბერნიაში მოუსავლობით დაზარალებულებს დახმარება აღმოუჩინოს.

✦ აგარაკ ბახმაროს გზაზე, თხემლარას ახლო უნახავთ 6 წლის დაკარგული თათრის გვამი.

✦ ამას წინათ გურიიდან აჭარას მიმავალი თათარი მოკლეს. ხალხმა დამნაშავის აღმოჩენა თავს იდვა. ამჟამათ ხალხს ამ მკვლელობის გამო ვიღაც გოგვაძე დაუჭერია და პოლიციისთვის გადაუცია.

✦ შაბათს, 19 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გამართულმა წარმოდგენამ—„გადაჭრილი მუხა“—კარგათ ჩაირა. პიესისა და თამაშის განხილვას ამ დღეებში მოვათავსებთ.

✦ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კვირას, 20 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გამართულმა ფოცხვერაშვილის კონცერტმა. ბევრი იყო დასწრების მსურველი, მაგრამ უადგილობის გამო შინ დაბრუნდნენ. ესევე კონცერტი საზოგადოების სურვილის გამო, გუშინ, ორშაბათსაც გაიმეორეს.

✦ საადგილ-მამულო ბანკის წასული კრებისაგან არჩეული ფინანსიური კომისია, რომელმაც მოსამსახურეთა შტატების დაწესების პროექტი უნდა შეიმუშაოს 24 ნოემბერს საგანგებო კრებისთვის წარსადგენათ, უკვე მუშაობას შეუდგა.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის საურთიერთო საზოგადოებათა ცენტრალური ბანკის დირექტორი თავ. ვლადიმერ მიძელაძე.

✦ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავჯდომარე თავ. მ. ფალავა ბანკის საქმეების გამო პეტერბურგს მიდის.

✦ 19 ოქტომბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ნესტორ შველიძისა და არსენ კალანდაძის საქმე, რომელთაც ყალბი ფულის გასაღება ბრალდებოდათ. სასამართლომ შველიძეს რვა წლის კატორღა მიუსაჯა, კალანდაძე კი გაამართლა.

✦ 19 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია ტარასი ხინგავას და პლატონ აფრიდონიძის საქმე. მათ ებრაელი არონ რიჟინაშვილისადმი მუქარის წერილის მიწერა და 20 ათასი მანეთის მოთხოვა ბრალდებოდათ. სასამართლომ ორივე ბრალდებული უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

✦ რედაქციამ მიიღო ახლათ გამოცემული ალმანახი „ხუმარა“-ს პირველი და „ნაკადულის“ მორიგი მე-19 ნუმერი მცირეწლოვანთათვის.

✦ თფილისში, კვირას სომეხთა მწერლის რაფის პანაშვიდის დროს მოულოდნელათ გადაიცვალა სომხის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მშაკის რედაქტორი ალექსანდრე ქალანთარი.

✦ დაბა ზესტაფონიდან გვწერენ, რომ ბევრი იქაური ვაჭარი კვირა უქმე დღეებსაც არ აძლევს თავისუფლებას ნოქრებს არათუ საქმე დღეებში დანიშნულ დროს დაკეტოს მაღაზია და ამით საშუალება მიეცეს ამ ნოქრებს სამკითხველოთი ისარგებლონო. ესენი რომ გათავისუფლდებიან, მაშინ სამკითხველო უკვე დაკეტილია კიდეცო.

✦ ქიათურიდან საშა ავალიანის გარდაცვალების გამო გლოვის ბარათი მივიღეთ იოსებ კვლიშვილისაგან.

✦ ამ ჟამათ ვიოლონზე დამკვრელი ილიკო ქურხული თფილისშია და ქართულ თეატრში კონცერტს მართავს. ჩვენ გადმოგვცეს, რომ მომავალ კვირას ეს მოსიარულე მემუსიკე მოწვეული იქნება ქუთაისში ილიას საღამოზე მონაწილეობის მისაღებათ.

შენიშვნა.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში ცნობა იყო მოთავსებული—გელათის გუმბათს მეხი მოხვედრიაო. კვირას, ამ თვის 20-ს, განგებ ამ ამბის გამო გელათს გავემგზავრე და გულს მწარე ფიქრი მიბურავდა: ვაი თუ ჩვენი დიდება ძალზე დაზიანებული დამიხვდეს-მეთქი. შორიდანვე ვათვალიერებდი, მაგრამ ამაყათ ცაში ატყორცნილს ჩვენი წარსულის მოწმეს ჩემი თვალი ვერ მისწვდა.—გალავნიდან კი ბინოკლით შემდეგი დავინახე: მეხი დასცემია აღმოსავლეთის მხრით და ფანჯრის თაღის მთლიანი ქვა ჩამოუხეთქია და შუაზეც გაუპია; მეხს ჩაულეწია აგრეთვე იმავე ფანჯრის ორიოდე მინა და გუმბათის ძირში—ჩუქურთმით გამოყვანილი სვეტი.—სვეტის ნამტვრევი და სხვა ქვებიც იქვე გადაუყრიათ. მაშინვე ვსთხოვე ბერს, შევაგროვეთ და ერთად დავალაგეთ—თუ ღმერთი გწამთ გაუფრთხილდით, არ დაკარგოთ-მეთქი.

— რა საჭიროაო? ცნობის მოყვარეობით მკითხა მან.

და ეს „რა საჭიროა“ დიდი ხანია გაისმის გელათის გარშემო! რა საჭირო იყო საზოგადოების ხმის ამაღლება, როდესაც ქვეყნის მართველის სახით მოვლენილებმა გაცარცვეს ჩვენი დიდება და ხახულის ღვთის მშობლის ხატის სამკაულით თავის ხარჭას დაუშვენეს მკერდი?!.. რა საჭირო იყო საზოგადოების გულმხურვალობა, როდესაც ჩვენი თვალის წინ ნაძირალა ავაზაკებმა გაცარცვეს მონასტერი და, ალბათ, თავშესაფარი ამავე „საზოგადობაში“ იპოვეს?!. რა საჭიროა ან დღეს თვალყურის მდევნელი და მზრუნველი, რომ გამძაფრებულ სტიქიონს არ ემსხვერპლოს მთელი საქართველოს დიდება?!.. თუ კი კერძო პირები უზრუნველყოფენ თავის შენობებს მზგავსი გამანადგურებელი მოვლენისაგან, რატომ იზრუნეს, ვისაც მოეთხოვება, გელათში მეხთა მრიდის გაკეთებაზე?!..

წმ. გიორგის საყდრის ერთს კუნჭულში ღია ფანჯარასთან ძვირფასი ხელნაწერები აწყვია, ჩემს მახსოვრობაში ამ წიგნებისთვის ხელი არავის უხლია და ფანჯრიდან მოსისინე ქარი და წვიმა შეუბრალებლათ ღრღნის და სპობს ამ ნაამაგარს!.. ვინაა პატრონი?

განა დიდი პატრონობა უნდა მონასტრის შემოსავალს—ორიოდ გოდორს სიმინდს და ორ კოკა ღვინოს?!. **დონ.**

დღიური.

·ავსტრია და იტალია თხოულობენ ეპირის ბერძენთაგან გაწმენდას.

— ესად-ფაშა მალისორებმა დაამარცხეს.

— ბულგარეთის პოლიტიკის მიმართულება ავსტრიის სასარგებლოთ შეიცვალა.

— ოსმალეთმა საბერძნეთს ახალი მოთხოვნილებანი წარუდგინა.

— პიროგოვის საზოგადოებამ დაადგინა ქუთაისის გუბერნიაში მოუსავლობისაგან დამშეულებს დაეხმაროს.

— ინდოის ბანკში შენახული 25 მილიონი მანეთის მემკვიდრე ვინმე სო დაფაშვილი აღმოჩნდა.

— სათათბიროს ს. დ. ფრაქცი მეუფროსეთა და მეუმცროსეთა შ უთანხმოებაა.

— 17 ოქტომბერს პეტერბურ ოქტომბრისტთა ბანკეტი მოხდა, სა გუჩკოვმა ამ დღის შესახებ სიტყვა ს

— საბლერი ბეილისის პროც დასასწრებლათ წავიდა.

— კინემატოგრაფებს ბეილისის სა შესახებ სურათების ჩვენება აუკ ლეს.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე.

აღარ მაგონდება—ბრემსა აქვს თუ ფონს ორი მაგალითი მოთხრობილი რა გავლენასაც ახდენს მუსიკა ტლანქ ცხოველზე, როგორც ვირი უმნიშვნელო არებაზე, როგორც ბაა.

სადღაც დიდი დარბაზობა იყო გ რთული. წარჩინებული დამფასებ მუსიკისა ყურს უგდებდენ როიალზე მოჩენილ დამკვრელს, რომელიც გუ და გონებას იტაცებდა, ზეცათ აფრ მსმენელთა. სტუმრებით გაჭედილი ბაზი იდუმალებას მოეცვა...

უეცრათ შემოსავალი კარები მო ნება, შემოდის დიდ-ყურა, მიაშურებ ადგილს, სადაც ინსტრუმენტი სდგას დაიყროყინებს.

გამოჩენილი პაგანინი ისე უკრავ ვიოლონზე (სკრიპკა), რომ—როგო იტყვიან—ციდან ვარსკვლავები ც დაო. ერთ დღეს თავის ოთახში აკ სებდა თურმე ვიოლონს ეს მაესტრო შენიშნა, რომ ჭერიდან ქსელს ჩამო ობობა და მის წინ ვიოლონის პირ პირ შეჩერდა. გააჩერა დაკვრა, ობ აყვა ქსელს, ზევით ავიდა; დაიწყებდა არა დაკვრას, ობობა კვლავ ჩამოუშვე და და მის თვალწინ გაჩერდებოდა.

არ გინახავთ განა ოჯახში, სადაც რომ მუსიკალური ინსტრუმენტი მოი ბა, პატარა ფისია და თუ სხვა ჯიშის ლებიც როგორ მოყვებიან წკავ-წკ როგორც კი მუსიკის ხმას გაიგონებ

შემიძლია კერძოთ ჩემი ამბავიც გახსენოთ. ერთი ქათამი მყავდა ძალ შეჩვეული. დავუძახებდი, მოვიდო ავიყვანდი, ჩავუღიღინებდი რასმე ან ვუსტვენდი და ისიც ცდილობდა კაკა ამყოლოდა... ქათმის ტვინით, წარმ დგინეთ!..

ეროვნული საკითხი[*]

(„ნარიძის“ წერილების გამო.)

1) პოლონეთი.

ბ) კულტურული ბრძოლა
პოლონელთა პრუსიელებთან.

პრუსიის პოლონეთის ეკონომიური ცხოვრების შესწავლა ცხადათ მოწმობს „ნარიძის“ თითოეული დებულების უსაფუძვლობასა.

ქვემომოყვანილი ფაქტები ამოვიღე ბერლინის უნივერსიტეტის სახელმწიფო მეცნიერებათა პროფესორის ლიუდვიგ ბერნგარდის თხზულებიდან: „ბრძოლა პოლონელთა არსებობისათვის პრუსიაში“.

ბერნგარდი კონსერვატორია, მაგრამ პირუთვნელი და კეთილსინდისიერი მკვლევარია და მის წიგნში ფასდაუდებელი მასალა მოიპოვება ხსენებული საკითხის შესახებ.

გავლენა ემიგრაციისა (1831—1863 წ.)

მაშინ ამ აზრის იყვნენ: სანამ არ გათავისუფლდება ორი მესამედი პოლონეთისა, პარიზის ემიგრანტების კომიტეტის დადგენილებათ უნდა ემორჩილებოდენ პოლონეთის სამეფო, პოზნანი და გალიციაო- და წვრილმან საქმეებს არ უგდებდენ ყურს.

1833—1836 წ. პრუსიის მთავრობამ სრულიად წაართვა თვითმართველობა პოზნანს.

მაგრამ ორგვარი მიმართულება ტრიალობდა: ერთი ემიგრაციიდან მონაბერი, რევოლუციონური, და მეორე ადგილობრივი, კონსერვატორული, რომელიც აღიარებდა მშვიდობიანი მუშაობის საჭიროებას.

1840 წელს ავიდა ტახტზე ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხე და ამნისტიის ძალით ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა პოზნანს. გაჩნდა სამეცნიერო საზოგადოებანი, განვითარდა ლიტერატურა, დაარსდა გაზეთები, გაიმართა ლექციები და სხ. ამ დროს ემიგრაციის გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ემიგრანტთა შორის იყო დოკტორი მარცინკოვსკი, რომელიც დაბრუნდა სამშობლოში 1836 წ.

მან მოუპოვა პოლონელი მემამულეების მიერ დაარსებულს საადგილმამულო ბანკს, რომელიც უნდა დაკეტილიყო, უფლება ახალი გირავნობის ფურცლების გამოშვებისა (1842 წ.).

მანვე ააშენა პოზნანში სახლი, რომელსაც ეწოდებოდა „ბაზარი პოზნანისა“, სადაც იკრიბებოდენ მემამულენი (1855 წ.).

მაგრამ უმთავრეს მის ღვაწლს შეადგენს სწავლაგანათლების გამავრცელებელი საზოგადოება, ან ფერეინი, რომელიც მან დააარსა 1840 წელს. 1906 წელს ამ ფერეინს ქონდა 40 საოლქო კომიტეტი. პოლიტიკა გაძევებულია ფერეინიდან, მაგრამ ეს დაწესებულება ემსახურება ეროვნულსა, და, მაშასადამე, მით პოლიტიკურ საქმეს. უმთავრესი მისი დანიშნულებაა—სტიპენდიები საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის. ამ ფერეინთან კავშირი აქვს ოთხს სხვა განმანათლებელ ფერეინს.

1846 წელს გაძლიერდა რევოლუციონური მიმართულება. მარცინკოვსკი წინააღმდეგი იყო აჯანყებისა და ყველას მიერ მივიწყებული გარდაიცვალა 1846 წელსვე.

ამ დროს ყველა ელოდა შველას ნაპოლეონისაგან. ჩუმი, მშვიდობიანი, სისტემატიური მუშაობა შეუძლებელი იყო.

1851—1856 წ. პოზნანში არ აყვავებულა მრეწველობა, როგორც სხვაგან. და 1857 წლის კრიზისმა კიდევ უფრო დააქვეითა ეს ქვეყანა.

1850—1857 წ. პოზნანის პროვინციას სრულიად არ ქონდა საკრედიტო დაწესებულება. პოზნანის საადგილ-მამულო ბანკს კი უნდა მოეხდინა ლიკვიდაცია.

13 მაისს 1857 წ. გამოვიდა ბძანება, რომლითაც დაარსდა ახალი „საადგილმამულო ბანკი პოზნანის პროვინციისათვის“. ეს იყო ბიუროკრატიული დაწესებულება. გამგეობის წევრებს ნიშნავდა მთავრობა. ბანკის რწმუნებულების $^2/_3$-ს ირჩევდენ ბანკის დამფუძნებელნი და ერთ მესამედს ბანკის თავჯდომარე ხსენებულ რწმუნებულთა შორის.

3 თებერვლამდი 1813 წლისა ოლქის რწმუნებულები ირჩევდენ საოლქო მთავრობას, ანუ ლანდრატს, რომელიც განაგებდა ოლქის ადმინისტრაციულ საქმეებს. მას შემდეგ კი მთავრობა ნიშნავდა. მაშინ პროტესტის ნიშნათ ბევრმა პოლონელმა მოხელემ მიატოვა სამსახური ადმინისტრაციაში და ჯარში.

სასოფლო სამართველოებში, ანუ ვოიტებში, რასაკვირველია, პოლონური ენა დარჩა. რატომ? იმიტომ, რომ პოლონელებს ტერიტორია ქონდათ და ხალხს არ ესმოდა სხვა ენა. ძნელია ბრძოლა ადგილობრივ ენასთან ამ პირობაში!

1863 წელს პოზნანის შლიახტაზე და ხალხზე ისეთი დიდი გავლენა ქონდა რუსეთის პოლონეთის აჯანყებას, რომ არაფერი ეკონომიური ორგანიზაციის მოწყობა არ შეიძლებოდა.

გადავავლოთ თვალი ამ ფაქტებს. ხსენებულ დროს იმიტომ ვერ მოიკიდა ფეხი აქ ინტენსიურმა კულტურულმა მუშაობამ, რომ ეს იყო ხანა პოლიტიკური მოძრაობისა. მაშასადამე, პოლიტიკურმა განაწილებამ ვერ შეუშალა ხელი ამ ნაწილების ერთობას. პოლონეთი, თავმოჭრილი პოლიტიკურათ, განაგრძობდა ბრძოლას პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის. თითოეული ნაწილის პოლიტიკური მაჯისცემა გადადიოდა სხვა ნაწილებში. და იმდენათ დიდი იყო გავლენა რუსეთის პოლონეთიდან გადახვეწილი ემიგრაციისა, რომ მარცინკოვსკი, შემქნელი შესანიშნავი ფერეინისა, უარყვეს სიკვდილის წინ, რადგან წინააღუდგა აჯანყებას.

რა აერთებდა ასე მჭიდროთ პოზნანსა, გალიციასა და რუსეთის პოლონეთს? რასაკვირველია, ტერიტორია. ტერიტორია ქმნიდა და ქმნის ახლაც პოლონეთის ერთობასა და ეროვნულ მოძრაობას. წაართვით პოლონეთს ტერიტორია—და განქარდება მათი ეროვნული ისტორიაც.

მაშასადამე, ტერიტორიაა ის საფუძველი, რომელზეც არის აღმოცენებული, როგორც პოლიტიკური, აგრეთვე კულტურული მოძრაობა და განვითარება.

და, ვინც უარყოფს ტერიტორიალურ პრინციპს, ის უარყოფს იმავე დროს ეროვნულ კულტურასაც.

დეპუტატების გავლენა.

1847 წ. ბერლინში შეიკრიბა შეერთებული ლანდტაგი, რომელშიც პოლონელებსაც ყავდათ თავისი წარმომადგენლები. პოლონელმა დეპუტატებმა დაარსეს აგრეწოდებული პოლონელი კოლო (კლუბი). მაშინ მათ არა ქონიათ დიდი გავლენა ხალხზე. პირიქით, 1 წელს ემიგრაციის გავლენით პოზნა დაარსდა ეროვნული კომიტეტი, რომ დადგენილებათაც ემორჩილებოდენ ლონელი დეპუტატები, როგორც ფრ ფურტის პარლამენტში, აგრეთვე ბერ ნის ლანდტაგში. მაგრამ რიცხვი პო ნელი დეპუტატებისა იმდენი იყო, მათს ხმებს ქონდა მნიშვნელობა, ე მათ შეეძლოთ გადაეხარათ სასწორი, სა კენაც უნდოდათ.

ამიტომ პრუსიის მთავრობამ მოინ მა მათი რიცხვის შემცირება და 30 სის უმაღლესმა ბძანებამ ისე გამოს პოზნანის საჰერცოგოში საარჩევნო ქები, რომ გერმანელებს ეძლეოდათ რატესობა. ამ საშუალებამ გასჭრა და 18 წელს პოლონელებმა მხოლოდ ხუთი პუტატის არჩევა მოახერხეს, მაგრამ 18 წელს მათ იმდენივე დეპუტატის არ მოახერხეს, რამდენიც ყავდათ წინეთ. ცხადია, ტერიტორია რომ არ ქონ ასეთი გამარჯვება შეუძლებელი იქნე და. 1864—1881 წ. მათ დიდი გა ნა მოიპოვეს ლანდტაგში და პოზნა მცხოვრებნი ბევრგვარ სიკეთეს მოე დნე მათგან.

1871 წლიდან 1881 წ. ბისმარკი ძოდა ცენტრს, ე. ი. კათოლიკეთა ტიას. ამ ბრძოლას ვირხოვმა უწოდა კ ტურკამფი, ე. ი. ბრძოლა კულტ სათვის. კათოლიკენი მოითხოვდენ ბ გვარ უპირატესობასა და უფლებას. მარკი კი იცავდა სახელმწიფოს ინტერ 1875 წლიდან პოლონელი დეპუტ მიემხრენ ცენტრს, რომ ამ პარტიის შუალებით მოეპოვებიათ უფლება სად წერილის პოლონურ ენაზე სწავლე მიაწიეს კიდევაც მიზანს. ბოლოს, კ ტურკამფი რომ გათავდა, გაქარწყ

---

[*] იხ. „იმერეთი“ 170-ე №

დიახ, დიდი რამ არის მუსიკა!

„გველსა ხვრელით ამოიყვანს—ენა ტკბილათ მოუბარი“-ო—სთქვა შოთამ.

ამ ენა-ტკბილობამ, ამ ტკბილმა მუსიკამ მოხიბლა და დაატყვევა კ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე საზოგადოება.

ცხადია, მემუსიკობას ვერ დავიჩემებ, არ შემწევს ცოდნა იმის, რომ დაწვრილებით დავაფასო მისი ღირსება...

მე მხოლოდ პირად შთაბეჭდილებას ვსწერ ჩემსას...

დავსტკბი, მოვიხიბლე, მესმა მშობლიური ჰანგები და სულსა და გულში მსწვდა ეროვნული ხმები.

ტკბილი ნექტარით დამთვრალი გამოვედი თეატრიდან...

გულს სასოება და იმედი დამესახა...

დ. მესხი.

დეპეში,

(პეტ. დეპ. სააგენტო).

ბეილისის საქმე.

კიევი. დამცველთა დამატებით შეკითხვაზე ბეხტერევმა წინათ ნათქვამი გაიმეორა. ამას შემდეგ სასამართლოს ექსპერტებს, ფსიქიატორებსა და მოწმეებს სასამართლო ათავისუფლებს. პროკურორი თხოულობს, და მას მხარს უჭერს ზამისლოვსკიც, რომ რიტუალური მკვლელების გამოსარკვევათ გამოაქვეყნონ სარატოვის საქმის ოქმი. ამ ოქმის გამოქვეყნება გამოძიების საქმეს გააჭიანურებს, მაგრამ ეს აუცილებელი საჭიროებაო. ზამისლოვსკიც თხოულობს ოქმის გამოქვეყნებას. დამცველები ამბობენ:—სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ბეილისის საქმე და არა ის, არსებობს თუ არა ებრაელებში რიტუალური მკვლელობა. სასამართლო მას ბრალს სდებს კანონის 1453 მუხლით და ეს ბრალდება უნდა დაუმტკიცოსო, გარდა ამისა ოქმის გამოქვეყნებას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს დღევანდელ საქმესთანო. პროკურორის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კანონსაც ეწინააღმდეგებაო. საქმის ყოველი მხრით გამოსარკვევათ პროკურორი კვლავ თხოულობს ოქმის გამოქვეყნებას. სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ ბერი ნეოფიტეს წიგნი საქმისათვის საჭიროთ აღიარა და ამ წიგნის ერთი ნაწილის გამოქვეყნება დაადგინა. დამცველთა შუამდგომლობა, რო მოეწვიათ ბერძნული, ფრანგული და გერმანული ენების თარჯიმანი, არ შეიწყნარეს, სასამართლომ სარატოვის საქმის ოქმის გამოქვეყნება საჭიროთ არა სცნო. პროკურორი კვლავ იმეორებს თავის წინადადებას სარატოვის საქმის ოქმის გამოქვეყნების შესახებ, ზამისლოვსკი თხოულობს მოწმეთა ჩვენების გამოკლებით ამ ოქმის გამოქვეყნებას. ებრაელთა კომიტეტის ხასიდის საქმეთა პირველ ნაწილს აქვეყნებენ. ხასიდაში ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ბევრი შეურაცხყოფილი აზრია. ოქმის ერთი ნაწილი საიდუმლოთ გამოაქვეყნეს, მეორე ნაწილის კითხვაზე კი ხალხი შეუშვეს დარბაზში. სხვათა შორის ოქმში აღნიშნულია შინაურ საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრთა ცნობები ამ საქმის შესახებ. 1841 წელს ბელორუსიაში ცხოვრობდენ მენდელი და შნეერსონი. ისინი ყოველ საშვალებას ღებულობდენ რათა კანონის წინააღმდეგ ემოქმედათ. ხასიდების სექტას 1852 წელს კიდევ მოემატა ერთი პირი ბორუხა. მთავრობის კანონის დარღვევა და მოტყვილება ხასიდის წევრებს ღირსებათ ეთვლებოდათ. ზამისლოვსკი თხოულობს სარატოვის საქმეზე მინისტრთა საბჭოს შეხედულების სრულად გამოქვეყნებას. შმაკოვი ამბობს: თუ დამცველთა აზრს დავადგებით მაშინ ისტორიული საბუთები მხედველობაში არ არის მისაღები. მხედველობაში არ უნდა მივიღოთ ისტორიული საბუთები მაშინ, როდესაც გადასაწყვეტი გვაქვს ისტორიული პრობლემა. რაკი გამოვაქვეყნეთ, ბარემ სრულიათ გამოვაქვეყნოთ. სამოსამართლო მომჩივნებს პროკურორიც უერთდება. ზარუდნი ეხება სასამართლოს დადგენილებას იმის შესახებ, ვითომც სარატოვის საქმეს ბეილისის საქმესთან არავითარი დამოკიდებულება ქონდეს, ამ დადგენილებას ყველა უნდა დაემორჩილოს. განყენებული ისტორიული საკითხების გარჩევა, როგორიც არის რიტუალური მკვლელობის შესახებ, შეუძლებელიაო.—მოითხოვენ—ბეილისს ის დაუმტკიცონ, რასაც ბრალათ სდებენ. ხანგრძლივ მსჯელობას შემდეგ სასამართლოს ასეთი დადგენილება გამოაქვს: არ გამოაქვეყნონ სარატოვის საქმის ოქმი. შემდეგ სასამართლო სალვთისმეტყველო ექსპერტიზას ეკითხება: რა მნიშვნელობა აქვს სისხლს—სხვერპლათ მიტანილს ებრაელებ შორის. არის აღნიშნული ბიბლიაში კაცის სხვერპლათ შეწირვა, აღნიშნულია თუ არა ბიბლიაში, რო მოკვლა და წვალება უცხო ტომის ხალხისა ცუდ საქმეთ ითვლება, რას ნიშნავს სინამდვილეში ტალმუდში შულხენარუხი და კობალა, რა მნიშვნელობა აქვს მას ებრაელთა თანამედროვე ცხოვრებაში, არის მასში აღნიშნული, რომ ებრაელები ქრისტიანთა სისხლს ხმარობენ, ტალმუდში თუ სისხლის საჭიროება არის აღსარებული, რა საშვალებაა ნაჩვენები სისხლის საშოვნელათ. სულ იყო 29 კითხვა. კითხვებზე პასუხს აძლევს თურქისტანის მხრის ქსენძი პრანაიტისი: მოსეს აღთქმა ყველა არ არის დაწერილი. ბევრი ზეპირათ გავრცელდა. ზოგი მათგანი დასწერეს. პრანაიტისი დიდხანს ლაპარაკობს. მას დროგამოშვებით კითხვებს აძლევენ პროკურორი და მსაჯულები. იგი ეხება სარატოვის საქმესაც.

პეტერბურგი. საკანონმდებლო კომისიამ მიიღო წინადადება, წითელი ჯვრის საზოგადოების, მოწყალე დების პენსიის დანიშვნის შესახებ. აგრეთვე მიიღეს წინადადება რუსეთში დამზადებულ, საზღვარგარეთეთ გასატან კინემატოგრაფიულ ლენტებზე ბაჟის გადახდისა. აქვე გამოითქვა სურვილი, რომ კინემატოგრაფიული სურათებისთვის მთავრობამ შეიმუშაოს განსაკუთრებული საცენზურო წესდება, რათა არ გაუშვან ისეთი სურათები, რომელიც ბავშის ზნეობრივ მხარეზე ცუდათ იმოქმედებს.

შინაურ საქმ თა მინისტრმა ნება დართო, რომ დეკემბერში გამართონ სრულიად რუსეთის ტუბერკულეზთან მებრძოლ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

კავკასიის გზაზე სტეპნაის სადგურთან, მატარებლების დამსხვრევის მიზეზების გამოსაკვლევათ გაგზავნილმა შევოლმა, გზათა უწყების მინისტრს დეპეში გამოუგზავნა და აცნობა მატარებლების დამსხვრევა რკინის გზის რელსების უვარგისობის შედეგიაო

უცხოეთი.

რომი. „სტეფანის“ სააგენტო უარყოფს იმ ცნობას ვითომც იტალიას საბერძნეთთან მოლაპარაკება გაემართოს, სლავიანთა საწინააღმდეგო კავშირის შესადგენათ. და ვითომ ამ კავშირში შედიოდეს გარდა საბერძნეთისა ავსტრო-უნგრეთი და რუმინიაო.

წერილი კიევიდან.

ბეილისის საქმე.

მიიწურა მოწმების ჩვენების ჩამორთმევა, საქმე ბოლოვდება და მით უფრო ძლიერდება საზოგადოების ყურადღება ამ საქმისადმი.

ბრალმდებლის მხრით, ყოველი ძალა და ღონეა მიღებული რომ იშოვონ უტყუარი საბუთები მის დასამტკიცებლათ, რომ იუშჩინსკის ბავში ბეილისის მოკლულია რიტუალური მიზნით; არაფერს არ ზოგვენ და ყოველნაირ ხრიკს ხმარობენ ბრალმდებელი ზამისლოვსკი, შმაკოვი და მათთან ერთად ყველა მოკავშირე.

მთელი კიევი, მთელი რუსეთის იმპერია, მთელი ევროპა ამ საქმეს შეყურებს. ეს საქმე მეტისმეტათ მწვავეა. დღეს უნდა გადასწყდეს მთელი ერის ბედი. უმისოთაც ტანჯულთა და ჩაგრულთ დღეს სურთ ეს ბრალდებაც თავს მოახვიონ. ებრაელები სისხლის მსმელები არიანო, მათ არ აქვთ ადგილი ქვეყნიერობაზეო, უნდა მოისპონო—აი, რას გაიძახიან ეს ვაჟბატონები!

აქაური პატრიოტული ორგანო „Двуглавый орелъ“ სულ მთელ გაზეთს ანდომებს ებრაელებისა და მათი დამცველების ლანძღვა-გინებას. ამ გაზეთში მეტს ვერას ნახავთ: жид, жидовскій, ожидовѣлый...

პატარა, დიდი, ახალგაზდა, მოხუცი—რამდენი წარსდგა სასამართლოს წინაშე, მისცეს ჩვენება და დღემდი ვერ უპოვიათ ბრალმდებელთ უტყუარი საბუთები, რომ მას დაამტკიცონ ბრალდება. და თუ კი ასეთი საბუთი არ არსებობს, სიდან უნდა გამოძებნონ? ეცლებათ ნიადაგი, არა კაცურ საშვალებასაც მიმართვენ: თუ მოწმემ ბეილისის სასარგებლოთ სთქვა რამ, ცდილობენ ასეთი მოწმე არა საიმედო პირათ გამოიყვანონ, და რადგან უმეტესი ნაწილი მოწმეებისა სიმართლეს აღიარებენ, და მხოლოდ ორი-სამი კაცი ამის წინააღმდეგია, გამოდის, რომ დიდი უმეტესობა სტყუის, ორი-სამი კაცი მართალს ამბობს. და ეს ორი სამია, ვერა ჩებერიაკისა და მისი ამქარი. უკვე დამტკიცებულია, რომ ესენი ავაზაკებია, ბევრი რამ სიბილწე ჩაუდენიათ, ქურდები და „ბროდიაგები“ არიან; ზოგი კატორღაშია, ზოგიც ციხეში. ირკვევა ნათლათ, რომ დამნაშავე ამ საქმეში თვით ვერა ჩებერიაკისაა. ეს დამტკიცდა თითქმის სასამართლოში, ნაცვლათ იმისა, რომ ბეილისის დანაშაულობა დაემტკიცებიათ. ამას ყველა გრძნობს, ბრალმდებელნი ამ პირთ ხელს უწვდიან, სურთ მტყუანი გაამართლონ, მართალი გაამტყუნონ. მაგრამ მოპირდაპირენიც ძლიერი არიან: მაკლაკოვი, კარაბჩევსკი, გრუზენბერგი, გრიგოროვიჩ-ბარსკი, ზარუდნი.

მთელი ქვეყნიდან პროტესტები ისმის დეპეში დეპეშზე მისდის დამცველებს, სხვათა შორის, ჩვენმა პეტერბუ გელმა სტუდენტობამაც კი განაცხადა პროტესტი.

— სიყალბეა! ისმის ყოველი მხრით.

ყოველი მოძრაობა შეჩერდა, ერთიღა—ბეილისი, ბეილისმა, ბეილისზე, ბეილისს—ისმის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონებში, თეატრში, შინ, გარეთ!

სიმართლის დაფარვა ძნელია, და არც ამ შემთხვევაში უნდა დაიფაროს იგი.

ებრაელი ადამიანია, მათ დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე.

დროა თვალი გავახილოთ—მეოცე საუკუნეა!

გ. ჭარაქაძე.

ჩვენი სულიერი მამები.

ამ ოცდა ათი წლის წინათ სასულიერო სემინარიაში კურსდასრულებულ ღვდლებს, არათუ სოფლებში, ქალაქებშიც ნაკლებათ შეხვდებოდით; უმეტეს ნაწილათ ისინი ან შინაური სწავლა-განათლებისა იყვენ, ან და სასულიერო სასწავლებლების ორი-სამი კლასი ქონდათ გავლილი; სამაგიეროთ [illegible] ლოვნებული [illegible] საქმეში,—[illegible] ველთათვის მუყაითად და პატიოსნათ ასრულებდენ [illegible] მოქმედებას და თან მტკიცეთ იცავდენ სარწმუნოებას. დღესაც ხშირათ გაიგონებთ მოხუცებულებისაგან მაშინდელი ღვდლების ქებას შემდეგი სიტყვებით: „ძველი ღვდლები, თუმცა დიდი განათლებულები არ იყვენ, მაგრამ ნამდვილი ღვდლები იყვენო. და სრულიად არა გავდენ დღევანდელ ზოგიერთს განათლებულ ღვდლებს, რომელნიც გარეგანი შეხედულობით არიან მხოლოდ ღვდლებიო“. ჩემის მხრით უნდა დავუმატო, რომ შური, მტრობა, ერთმანეთის გაუტანლობა და ადგილებზე დამუშტრება ძველ ღვდლებს შორისაც მეტათ გახშირებული იყო; მახსოვს, ნეტარხსენებულის ეპისკოპოზის გაბრიელის დროსგახდებოდა თუ არა რომელიმე ღვდელი ავათ, მაშინვე ყოვლადსამღვდელოსთან ოცი-ორმოცი თხოვნა იყო უკვე მისული: „ესა და ეს ღვდელი ავათ არის, კვდება და იმის ადგილზე მე გადამიყვანეთო“.

მაგრამ ხშირათ მომხთარა, რომ ავათმყოფი ღვდელი განკურნებულა. აგრეთვე რომელიმე მედავითნეს თუ დაუპირებდენ ღვდლათ კურთხევას, მაშინვე რამდენიმე „დანოსი“ მიდიოდა ეპისკოპოზთან:—

„ესა და ეს კაცი ავათმყოფია, ზნე უვლის, გარყვნილი და ბოროტია და სხვა“... განვლო იმ ხანამ; დღეს ვხედავთ ყველგან არათუ ქალაქებში, სოფლებშიც სემინარიელ ღვდლებს, რომლებზეც ხალხს დიდი იმედები ქონდა დამყარებული მით, რომ ისინი განათლებას შეიტანდენ ყრუ სოფლებში, ზემო ჩამოთვლილი ნაკლი აიკვეცებოდა, წმინდა სამსახურს თავის დროზე არ მოაკლებდენ მრევლს და სარწმუნოებასაც მტკიცეთ დაიცავდენ,—მაგრამ ბევრგან ეს იმედები გაუცრუვდათ, რადგან ზნეობრივათ ზოგიერთმა განათლებულმა ღვდელმა ბევრით ვერ გადაამეტა ძველ ღვდლებს: ვინც ჟურნალ-გაზეთებს ადევნებს თვალყურს, ხშირათ შეხვდება და წაიკითხავს დღევანდელს ჩვენს სულიერ მამებზე საყვედურს: „ამა და ამ ღვდელმა შკოლის წინააღმდეგ ამხედრა თავისი მრევლიო, მეორემ გააძრო ხალხს ტყავიო, მესამემ გარყვნილება და უზნეობრობა შემოიტანა და წირვა-ლოცვა სანახევროთ აღარ გვაქვსო, მეოთხემ ცრუ საჩივრები გაგზავნა თავის მეზობელ ღვდელზეო, მეხუთე სხვის მრევლში შეიჭრა ღვდელმოქმედების შესასრულებლათ და ფულები აიღო და სხვა... მეტია იმის თქმა, რომ ღვდელს მეტი მოეთხოვება და უფრო თავდაჭერილათ უნდა ირჯებოდეს და მით თავის მრევლს მაგალითს აძლევდეს.—მეშვიდე წელიწადია, რაც ქუთაისში ვცხოვრობ, ბევრ ღვდელსა და მედავითნეს ვიცნობ და ხშირათ გამიგო·

პოლონელი დეპუტატების გავლენაც, როგორც ლანდტაგში, აგრეთვე ცხოვრებაშიც.

პოლონური საგლეხო ორგანიზაცია.

შესანიშნავი პრაქტიკული მოღვაწე მაქსიმილიან იაცკოვსკი, რომელიც იღწვოდა მესამოცე წლებიდან 1905 წლამდი, ქადაგებდა: პოლონელებმა უნდა შექმნან პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელმაც უნდა დაფაროს მთელი პოლონეთი.

1873 წელს, როდესაც მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ ყველა საგანი სღვთო სჯულს გარდა ესწავლებიათ გერმანულ ენაზე, მემამულეთა კავშირის ერთობ კრებამ დაადგინა დაეარსებია გლეხთა კავშირები.

1873 წ. იყო თერთმეტი საგლეხო კავშირი, 1875 წელს—45, 1876 წელს—61, 1877 წელს—105, 1880 წელს—120. შემდეგ გლეხთა კავშირებმა მთელი პროვინცია მოფინეს. თითოეული კავშირი იქნა დაარსებული იაცკოვსკის მიერ.

თვეში ერთჯერ იკრიბება თითოეული კავშირი. წელიწადში ერთჯერ იკრიბება ამ კავშირები მთელი ოლქისა და ყოველწლივ გაზაფხულზე შეიკრიბება რომელიმე ქალაქს პოზნანში წლიური დიდი კრება ყველა პოლონური კავშირისა.

ერთ-ერთი მიზანი ამ კავშირებისა ის [illegible] და არის, რომ მიწა არ გადავიდეს გერმანელთა ხელში. ე. ი., თუ პოლონელმა მემამულემ გაყიდა, ისევ პოლონელმა გლეხებმა იყიდონ. არ გავნან [illegible] გლეხებს, რომელნიც იძახიან რათ ვიყიდით მიწას, ისეც დაგვრჩება.

კავშირი ცდილობს შეიძინოს გაუმჯობესებული სამუშაო იარაღები, ასწავლოს გლეხებს მიწის გასუქება ხელოვნური პატივით, გააგებიოს გლეხს, როგორ შეუძლია გამოიტანოს ბანკიდან სესხი და სხ.

გაგერმანელების პოლიტიკამ შკოლაში გამოაფხიზლა და პოლიტიკურათ აღზარდა პოლონელი გლეხი. მან ნება დართო მოზარდ თაობას, გაეწია შკოლაში ბრძოლა გერმანული ენისთვის. მან შეიგნო აგრეთვე ეროვნული მნიშვნელობა ტერიტორიისა, ე. ი. ის, რაც ვერ შეუგნია დღემდი თვით ბ. „ნარიძეს“.

1861 წელს ერთმა მექარხნემ სხვა მოღვაწეებთან ერთად დააარსა პოზნანში წვრილ ვაჭართა და ხელოსანთათვის სავაჭრო ბანკი, რომელიც 1906 წელს ატრიალებდა უკვე 20 მილიონ მარკას.

1871 წ. დაარსდა 19 პოლონური საკრედიტო ამხანაგობა. 1872 წელს შამარჟევსკიმ, მართველმა, ანუ პატრონმა ამ ბანკთა კავშირისა, თოთხმეტი ახალი ამხანაგობა დააარსა. ამ ამხანაგობებმა 1874 წელს იზარალეს, შემდეგ 1885 წლამდი აწეწილი იყო საქმეები, მაგრამ ბოლოს კვლავ გამობრუნდა.

პრუსიის სახალშენო პოლიტიკა.

კანონი 1886 წ.

1881—1882 წ. მთავრობამ დაასრულა ბრძოლა გერმანელ კათოლიკებთან, მაგრამ კიდევ უფრო მედგარი იერიში მიიტანა პოლონელთა წინააღმდეგ. მთავრობას მხარი დაუჭირეს გერმანელმა ნაციონალ-ლიბერალებმა. და 14 იანვარს 1886 წ. ბისმარკმა გაატარა ლანდტაგში ფ. ტიდემანის მიერ წარდგენილი კანონპროექტი გერმანელების დასახლებისა პოზნანის საჰერცოგოში.

ამ კანონის ძალით ასი მილიონი მარკა გადაიდვა, რომ შეეძინათ მამულები პოლონელი მიწისმფლობელებისგან და დაესახლებიათ ამ მამულებზე გერმანელი მიწის მუშები. ბევრმა პოლონელმა მემამულემ, რომელსაც ცუდათ ქონდა საქმე, სიამოვნებით მოიშორა თავიდან დავალიანებული მამულები, რომელზეც დაესახლენ გერმანელები.

მაგრამ ცდა ბისმარკი, რომ ამბობდა: „თუ გვყავს პოლონელი აზნაურობა, გამარჯვებული ვართ პოლონელ ხალხზეცო“.

თავდაცვის ღონისძიება პოლონელი აზნაურობის მხრით.

თავად-აზნაურობამ მოინდომა დაეარსებია პოზნანში საადგილ-მამულო ბანკი, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო,—შეეძინა მამულები დიდ მემამულეთაგან და მიეყიდა პატარ-პატარა ნაჭრებათ პოლონელ გლეხთათვის. პოზნანის შლიახტაზე მეტი გალიციის თავად-აზნაურობამ შესწირა ამ საქმეს. 1886 წლიდან 1888 წლამდი ორი მილიონი მანეთი შეიკრიბა.

ამ ბანკმა ძლიერ შეუწყო ხელი მამულების გადასვლას პოლონელ მემამულეთა ხელიდან პოლონელი გლეხობის ხელში.

ამხანაგობათა საკავშირო ბანკის დაარსება.

როდესაც ბისმარკმა წარმოსთქვა თავისი დიდი სიტყვა პოზნანის სახალშენო პოლიტიკის შესახებ, პოლონელმა მოღვაწეებმა შეადგინეს სავაჭრო ბანკთა საკავშირო ბანკის წესდება (13 თებერვალს 1886 წ.). და 23 თებერვალს 1886 წლისა ქალაქის გამგეობამ შეიტანა ამხანაგობათა და საზოგადოებათა რეესტრში (სიაში), რომ დაარსდა „საკავშირო ბანკი სამრეწველო საზოგადოებათა“. პოზნანის პოლონელმა მრეწველებმა და ვაჭრებმა შეიტანეს საქციონერო კაპიტალი ორასი ათას მარკამდი, საკრედიტო ამხანაგობებმა სამასი ათასამდი. სულ შეიკრიბა ძირითადი თანხისთვის ნახევარი მილიონი. ამას გარდა დაარსდენ ახალი ამხანაგობანი, თითოეული ამხანაგობის წევრთა რიცხვი გაიზარდა. ბლომათ შემოვიდა შესანახავი ფულიც. ბანკის აპერაციები უცებ გაიზარდა. და ასეთი წარმატება მიეწერება სხვათა შორის იმ ფაქტს, რომ საქმის ინიციატორებათ და მეთაურებათ იყვნენ შესანიშნავი პრაქტიკული მოღვაწეები: კაშტელიანი, ქსენძი ვავჟინიაკი და ორი სხვა გამოცდილი პრაქტიკული მოღვაწე და ეკონომისტი.

როგორც ქვეით დაინახავს მკითხველი, ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი კიდევ გაიზარდა, მათ ამოუდგნენ მხარში კიდევ სხვაგვარნი და ყველამ ერთად ხელი შეუწყო მიწის შერჩენას პოლონელთა ხელში.

დიახ! კრედიტი შეიქნა პოზნანის პოლონელთათვის უმთავრეს საშვალებათ ეროვნული თავდაცვისათვის პრუსიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბ. „ნარიძე“ კი დასცინის ბანკსა და საბანკო მოღვაწეობას.

აქ უნდა აღვნიშნო ერთი დამახასიათებელი თვისება პოლონელთა კულტურული ბრძოლისა. პოლონელებმა ხელი არა კრეს თავადაზნაურობის მიერ შემოწირულ შემწეობას, თუმცა ეროვნული თავდაცვის საქმეს უმთავრესათ დემოკრატია აწარმოებს. და ასეც უნდა იყოს. თავად-აზნაურობაა თუ სხვა რომელიმე წოდება, ყოველივე მისი საქმე არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ იმიტომ, რომ ის მაღალი წოდებაა.

ჩვენებურ დემოკრატებს კი სჩვევიათ: თავად-აზნაურობამ თუ მოითხოვა, მაგალითად, ერობა, ნაფიცთა სასამართლო, ავტონომია და სხვ., ისინი ვერ თანაუგრძნობენ მის საქციელს, რადგან ის თავად-აზნაურობაა!

თავად-აზნაურობამ თუ ბანკის წმინდა მოგება გადასდვა სწავლა-განათლებაზე და სხვა კულტურულ საჭიროებაზე, მათი ფიქრით, ამ საქმეშიც ზურგი უნდა შევაქციოთ თავად-აზნაურობას და ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ მის ბანკს!

და ასე გაშინჯეთ, ჩვენებური დეპუტატები, რომელნიც ესდეკთა ფრაქციაში ზიან, არ კადრულობენ ხელი მოაწერონ იქ, სადაც ფედერალისტების დეპუტატს ხელი უწერია, თუმცა საქმე ეხება ამიერ კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს.

და, ვიცი, ბ. „ნარიძეს“ მთელი კულტურულ-ეროვნული ბრძოლა პოზნანის პოლონელთა ბანკების საშვალებით რადაც არა საკადრის, „წვრილბურჟუაზიულ“, მეწვრილმანურ საქმეთ მოეჩვენება და სასაცილოთაც არ ეყოფა. ის ვითომ მარტო დიდ (?) პოლიტიკას აწარმოებს და აბა ასეთს წვრილმან ჩხირკედლობამდი როგორ ჩამოქვეითდება?!

ნამდვილათ კი „ნარიძე“ და მისი ამხანაგები ფიზელი დემოკრატები კი არ არიან, არამედ საშვალო საუკუნისებური ფანატიკოსები, სარწმუნოებრივი მწვალებლები, სექტანტები. თვარა სხვაგვარათ შეუძლებელია გავიგოთ მათი პოლიტიკა და მოქმედება.

ისარი.

(შემდეგი ქნება.)

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი
მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ
აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი ა/წ. [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელ-შიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ [illegible] და წარმოადგენს ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება [illegible] ქუთაისში [illegible] ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასა[illegible] სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვ[illegible] ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერას
ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ნია მათგან საყვედური და საჩივარი ერთმანეთის შესახებ, რომ ესა და ეს ღვდელი, ან მედავითნე თავის უბნის მრევლს არ ჯერდება და სხვა ღვდლის უბნის მრევლში შედის ღვდელმოქმედების შესასრულებლათ, და თავისი ჯიბის ინტერესებისათვისო, ზიარების კვირაში სებისკვერი და კორკოტი ამა და ამ მედავითნემ მეტი მოიტაცაო, ამა და ამ სასწავლებელში დაკავებულ ადგილზე თხოვნა შეიტანა და გაკვეთილები ითხოვაო და სხვა... უნდა მიექცეს ყურადღება იმ მოვლენასაც, რომ სოფლებში მოძღვრები აღარ ჩერდებიან, ყველა გამორბის ქალაქს, გაკვეთილებს დაეძებენ და ერთმანეთს ემუშტრებიან, აბეზღებენ და კინკლაობენ. მრევლი კი ამ დროს სოფლათ უყურადღებოთა და უპატრონოთ რჩება.

ლადო ბზვანელი.

კათოლიკობა იმერეთში.

3.

ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა დავთარხანაში შემოწირულ წიგნებს შორის მეტათ საგულისხმოა „სომხური სახარება“, რომელსაც პირველ გვერდზე შემდეგი ქართული წარწერა აქვს: „სომხური სახარება. ღვდლის, დედი ჩემის მამის, პაპიჩემის ტერ-სააკის ნაქონი არის, რომელიც ბოლოს წამებული შეიქნა, რომელიც სომეხი იყო, ბოლოს კათოლიკე გახდა და ეჩმიაძინში აწამეს 1891-ს წელში. ამ ღვდლის ცოლშვილიც დატყვებული იყვენ; ცოლშვილი უფრო ადრე გაათავისუფლეს და ღვდელი კი გვიან. ღვდელი რომ გამოუშვათ, როგორც გაგვიგონია, მოწამლული პერანგი ჩაუცმევიათ და გზაში მომკვდარა, დასაფლავებულია ქუთ. სასწორს ზევით რომ აღმართია; იმ დროს იქ კათოლიკეთა ეკლესია და სასაფლაო ყოფილა.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ძველ საბუთებში, რომელიც კათოლიკობას შეეხება, ხშირათ ვხვდებით ხოლმე სიტყვებს: —„რომელიც სომეხი“, „იყო სომეხი“ და სხ. ამგვარი. ეს პირდაპირ მაჩვენებელია იმის, რომ საქართველოში კათოლიკობა ვრცელდებოდა ქართველთა შორის; აი, ერთი მაგალითიც: ღვდელი იოანე ბეთანელი აღნიშნავს ნათლისღების, ქორწინებისა და მიცვალებულთა წიგნაკში, რომ ჯვრის წერის დროს ერთხელ სომეხი ყოფილა ძმადეთ—„მათი გვირგვინი ვაკურთხე და ძმათ იყო სომეხი აკოფა“.

აქვე მოვიყვან ერთს მეტათ საინტერესო საბუთს, რომელიც წარმოადგენს მოწერილობას მთავრობისას ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის უფროსისადმი: „თქვენო ღირსებავ, მოწყალეო მწყესო. ძალისა გამო მოწერილობისა უფლის მართებლის იმერეთისა კზ-ი მარტიდამ № 826 ჩამორთმეულს ჩემგან ახალციხეს მცხოვრებელს ასულის გარდაცვალებულის კათოლიკეს იოაკიმე ბუხრაშვილისა ანასაგან ჩვენებაში ინიშვნის რომელ ვითომაც მის შ-დ სიკვდილისა მამისა და ძმისა მისისა იქაურმა მცხოვრებელმან თათარმან მახმედ ოღლი კულიჩიშვილმან წაიყვანა იგი თვისს სახლში სარჩენად ვითომც მეგობრობისათვის მამისა მისთან რომელმანცა გასულისა ბევრ რამოდენიმეს წლისა უბრძანა მას მიღებად ოსმალთ სარწმუნოებისა და მისცა არა მცირედისა თანხმობისა მის თათარს ალმეთა სულეიმან ოღლს. და ეყოლა მასთან ორი ასულნი. ხოლო აღებისა მებრ რუსეთის მხედრობისაგან ქალაქის ახალციხისა ისარგებლა შემთხვევითა მით მიმართა თვისა ერთს სარწმუნოებელთ მქონებელთა და მიიღო ქუთაის ორის თვის ასულით კათოლიკის სარწმუნოება და ერთათ მონათლა თვისი ასულნი, რომელნიც სახელადა წოდებულან პირველი მარიამათ და მეორე ელენეთ ძალისა გამო რომლისა უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ღირსებას მაუწყოთ მე სარწმუნოთ თუ მან მიიღო ერთით თვისის ასულებით კათოლიკის სარწმუნოება და აღასრულა თუ არა ყოველი მაზედა ვის გინ მონათლულ ან როდის და ვინ იყო მომნათველად ჯეროვანისა განკარგულებისათვის. ჭეშმარიტითა პატივისცემითა და სრულის გულს მოდგინებითა მაქუს პატივი (გვარი ვერ გავარჩიეთ). № 446. აპრილის დ დღესა ჩყლა წელსა. ქ. ქუთაისს“.

ამ საბუთიდან ჩანს რომ ქართველი ქალი ანა, იოაკიმე ბუხრაშვილის ასული, მამისა და ძმის სიკვდილს შემდეგ ძალათ გაამაჰმადიანა „თათარმა მახმედ ოღლი კულიჩიშვილმა“ და მისცა ცოლათ თათარს ახმეთა სულეიმან ოღლის, რომლისგანაც ანას ეყოლა ორი ქალი. შესანიშნავი აგრეთვე ის არის, რომ მახმედ ოღლი კულიჩიშვილი გამაჰმადიანებული ქართველია: თუ როგორ ევყრობოდენ მაჰმადიანები ქრისტიანებს, აქიდან ნათლათ ჩანს და გასაკვირველიც არ არის, რომ ზოგიერთი ქრისტიანი შემოფარებოდა ისეთ ხალხს, რომელიც არავითარ დარბევას არ განიცდიდა მაჰმადიანების მხრით. ასეთი ხალხი საქართველოში სომხები იყვენ, რომელთაც ზოგიერთმა ქრისტიანმა (სამცხ-საათაბაგოს ქართველმა კათოლიკეებმა) თავი შეაფარა, რათა დაეცვა თავისი სარწმუნოება ურწმუნოთა დარბევისაგან. და სწორეთ ასეთი შემთხვევით ისარგებლა სომეხთა სამღვდელოებამ, მიყო ხელი ქართველთა გასომხებას და შემდეგში მთელი ქართველ-კათოლიკობა, არათუ სამცხე-საათაბაგოისა, არამედ იმერეთისა და ქართლისაც სომხებათ გამოაცხადა.

აქვე მოვიყვან კიდევ ერთ რუსულათ დაწერილ საბუთს, რომელიც შეეხება ეკლესიის აშენებას გურიაში. მოვყავს უცვლელათ: „Управляющаго Римско-Католическаго Духовенства въ Грузіи Патера Френциска.

№ 155.

Маія 1841.

Его Превосходительству Г. Тифлисскому Военному Губернатору.

Ваше Превосходительство На рапорт май Къ Г-ну Главно управляющему въ Грузій за № 71-а объ отвадѣ мѣста для постройки Въ Грузій въ Озургетахъ цѣркві предложеніемъ отъ 18-аго Ноября 1839 года дали мнѣ знать что Ваше превосходительство предложить изволили Имеретинскому времѣнному правленію и Исполнительной Экспедиціи верховнаго Грузинскаго Правительства отвадить мнѣ мѣсто построики церкви... Кутаиское правленіе менѣ не удовлетворило, а какъ нынѣ въ Грузій есть особое, правленіе и я теперь отправляюсь туда, то покорнѣйше прошу ваше превосходительство не оставить предписать каму слѣдиетъ отвадить въ озургетахъ мѣсто для постройку церковъ“.

ეს საბუთი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ იხსენებოდა საქართველოში უფროსი კაპუცინი—„Управляющій Римско-Католическаго Духовенства въ Грузіи“ (გამგე რომის—კათოლიკეთა სამღვდელოებისა საქართველოში), რაიც გაუქმებულ იქნა მათ განდევნის შემდეგ. დღეს კი, როდესაც მთელი რუსეთის სომეხ-კათოლიკობას ყავს თავისი გამგე, რომელსაც ზემო აღნიშნული ისტორიული პირობების გამო ექვემდებარება აგრეთვე სამცხე—საათაბაგოს (ახალციხის მაზრა) ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოება, ქართველები სამცხე-საათაბაგოისა თხოულობენ, *) რომ მათი სამღვდელოებისათვის დაინიშნოს ხელმძღვანელათ ერთი რომის-კათოლიკე ღვდელი, მცოდნე ქართული ენისა. თხოულობენ იმას, რაც კაპუცინების განდევნას შემდეგ საქართველოდან შერჩათ ქუთაისისა და თფილისის ქართველ-კათოლიკობას, და თუ ჩვენი სამღვდელოება ფხიზლათ იქნება და მჭიდრო კავშირი ექნებათ ერთმანეთთან, ახლო მომავალში გვეყოლება ქართველი გამგე საქართველოში მყოფ ქართველ-კათოლიკეთათვის.

სოსო ასლანიშვილი.

ქ. ადესა. 12-X—1913.

„ოქროს ვერძის“ შეჩერების გამო.

ჩემდა სამწუხაროთ და სრულებით მოულოდნელი მიზეზისა გამო ჩვენი ჟურნალი შეჩერდა. მკითხველი ნუ მომთხოვს დაწვრილებით ანგარიშს ამ მიზეზის გამოსარკვევათ: [ეს სულ ერთია. მქონდა სურვილი გამომცემლობის განახლებისა, მაგრამ ესეც შეუძლებელი შეიქნა, რადგან პირადი საჭიროებისა გამო ევროპისკენ მიხდება გამგზავრება ხანგრძლივის ვადით.

ამ დღეებში ქუთაისის გაზეთებში ორი შენიშვნა იყო მოთავსებული ჟურნალის შესახებ.

კინკუას ქალს მოვახსენებ, რომ იგი არ დაუკმაყოფილებიათ მხოლოდ იმიტომ, რომ მისამართი დაკარგვიათ კანტორაში. ამასთანავე დავუმატებ:—იმიტომ, რომ უკან მიეღო თავისი ხვედრი ფული, საჭირო არ იყო გაზეთში გამოცხადება: ჩვენთვის პირადათ რომ შეეტყობინებია დაუყონებლათ დავაკმაყოფილებდით.

ბ. ჯაიანის განცხადების გამო ვადასტურებ, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ ქონია გამომცემლობასთან.

როგორც საანგარიშო წიგნიდან ჩანს, ჯერ ფული არ მიუღიათ შემდეგ ხელისმომწერლებს: № 2, № 50, № 145, № 215. ამათი მისამართი ვერ გავარკვიეთ. ყველას ვისაც ფული არ მიუღია, ვსთხოვთ გვაცნობონ ამ მისამართით: ქუთაისი, კახაკოვის ქ. „ოქროს ვერძი“.

ყველა ჩვენს აგენტებ შორის ანგარიში მხოლოდ სამმა—ოთხმა გაგვისწორა სავსებით. ვსთხოვ დანარჩენთ—ხვედრი ფული გაგზავნონ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში არჩილ ჯორჯაძის ფონდის გასაძლიერებლათ. დარწმუნებული ვარ—დიდი საქმის წინაშე მოვალეობას პირნათლათ აასრულებენ.

შავლე იაშვილი.

---

*) სამცხე-საათაბაგოს ქართველ-კათოლიკეებმა თხოვნით მიმართეს ტირასპოლის ეპისკოპოზს იოსებ კესლერს ამის შესახებ. აგრეთვე 12 ნოემბერს 1913 წ. მიმართეს მეფის მოადგილეს.

ეს საქმე ამჟამათ რომში კარდინალების საბჭოშია. ს. ასლ.

ანგარიში.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ქვემო აღნიშნულ ანგარიშს გაზეთ „იმერეთში“. 10 ს ამა ოკტომბერს ელექტრო-თეატრ „რადიუმში“ არქიელის გორის უფასო სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტისგან გაიმართა სურათების ჩვენება ამ სამკითხველოს სასარგებლოთ. შემოსავალი იყო სულ 239 მ. 14 შ. აქიდან დაიხარჯა: თეატრის პატრონებს მიეცა 90 მ. მუსიკასა, მარკებსა და წვრილმანებში 31 მ. და 2 შაური

სულ 121 მან. 2 შ.

წმინდა მოგება დარჩა—118 მ. 3 აბ., რაც სრულიად გადაეცა სამკითხველოს მოლარეს ლვ. ი. ბაკურაძეს.

სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის თეატრის პატრონებს და ყველას, ვინც დაეხმარენ ამ საქმეში და მით შემოსავალს ხელი შეუწყვეს. იმედია, მომავალში საზოგადოება მეტ ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და ორ გროშს არ დაიშურებს ასეთი პატიური დაწესებულებისათვის, როგო[illegible] სამკითხველოა და რომლის არსებ[illegible] ერთადერთი წყაროც ამგვარი საღა[illegible]ბია.

რ. კ—

რედაქ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელი

კ. ოცხელისა და ამ
წიგნის მაღაზიამ
(ქუთაისში) მიმდინარე წელს ხელი
უწყო მრავალს სასალხო ბიბლიო[illegible]
წიგნების არჩევითა და გამოწერით. კ[illegible]
განაგრძობს ამასვე—ადგენს ბიბლიო[illegible]
კებს და აძლევს წიგნებს მეტათ საღ[illegible]
თიანი პირობებით!
აქვე მოიპოვება შემდეგი წიგნე[illegible]
1. გუთანი, ქართული სახელმძღვან[illegible]
ლო — — ფ. ყდით 17
2. ქვარიანი, საქართვ. ისტორია 2
3. ყუბანეიშვილი, სღვთო სჯული 6
4. ნიკოლაიშვილი, მოკლე ქართულ[illegible]
გრამატიკა — — 1
5. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა 3
6. მისივე, მოკლე ქართ. გრამატ. 1
7. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა 10
8. დათეშიძე, ქართული დედანი
ყველა ამ წიგნზე დათმობა 25 პრ[illegible]
ცენტია.

სამკურნალო
აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ხრესილში.
მშვენიერი ბუნება და ჯანსაღი ადგილ-მდებარეობა.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

ახალი უვნებელი სამკალება
რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზე[illegible]ური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათო.

ვ. მოლოდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქ[illegible] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინე[illegible]ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.
№ 12

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.